ბილეთი 1

1. კომანდიტურ საზოგადოებაში კომანდიტები შეიძლება იყვნენ:

ა) მხოლოდ ფიზიკური პირები

ბ) მხოლოდ იურიდიული პირები

გ) მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირები

დ) როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები

2. შპს შეიძლება დაარსონ

ა) მხოლოდ ფიზიკურმა პირებმა

ბ) მხოლოდ იურიდიულმა პირებმა

გ) როგორც ფიზიკურმა, ისე იურიდიულმა პირებმა

დ) როგორც ფიზიკურმა ისე იურიდიულმა პირებმა ,მათ შორის სახელმწიფომ

3. თუ შპს-ის ვალები აღემატება მის ქონებას

ა) საზოგადოების ვალებზე პასუხს აგებენ პარტნიორები

ბ) საზოგადოების პასუხისმგებლობა შემოიფარგლება საზოგადოების ქონებით

გ) საზოგადოება პასუხს აგებს ჯერ თავისი ქონებით, შემდეგ პარტნიორების ქონებით ან სუბსიდირებით

4. შპს შეიძლება დააფუძნოს

ა) სულ ცოტა 2-მა ფიზიკურმა პირმა

ბ) სულ ცოტა 1-მა ფიზიკურმა და 1-მა იურიდიულმა პირმა

გ) ერთმა პირმაც

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი

5. სააქციო საზოგადოების კრედიტების წინაშე პასუხს აგებს

ა) აქციონერები თავიანთი აქციებით

ბ) აქციონერები თავიანთი ქონებით

გ) სს თავისი ქონებით

დ) სს ჯერ თავისი ქონებით და თუ საკმარისი არ აღმოჩნდა აქციონერების ქონებით

6. სამინისტრო სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში განიხილება

ა) იურიდიულ პირად

ბ) არ სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებებით

გ) საჯარო სამართლის იურიდიულ პირად

დ) არ განიხილება საჯარო სამართლის იურიდიულ პირად

7. აბსტრაქტული გარიგებაა

ა) თამასუქი

ბ) საკრედიტო ხელშეკრულება

გ) საბანკო ანაბრის ხელშეკრულება

დ) საბანკო ანგარიშის ხელშეკრულება

8. გარიგებები იდება

ა) მხოლოდ სანოტარო ფორმით

ბ) მხოლოდ უბრალო წერილობითი ფორმით

გ) მხოლოდ ზეპირად, მაგრამ 2 მოწმის თანდასწრებით

დ) ზეპირად, წერილობითი ფორმით, კონკლუდენტური მოქმედებით

9. კაპიტალურ გაერთიანებებს წარმოადგენენ

ა) ამხანაგობები

ბ) საზოგადოებები

გ) არაიურიდიული პირები

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი

10. ცალმხრივი გარიგებაა

ა) სადაზღვეო ხელშეკრულება

ბ) დავალების ვალდებულება

გ) შენახვის ხელშეკრულება

დ) სამკვიდროზე უარის თქმა

კაზუსი

არასამთავრობო საგანმანათლებლო დაწესებულება არასამთავრობო უნივერსიტეტის შემადგენლობაში შედის ლაბორატორია, სასწავლო ცენტრი და ფაკულტეტები. რეფორმის პროცესში უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ცალკეული ქვედანაყოფის იურიდიული პირის უფლებები გამოყოს ისე, რომ შეიძინონ ფინანსური დამოუკიდებლობა და იმავდროულად დარჩნენ უნივერსიტეტის შემადგენლობაში.

განათლების სამინისტროს სარეგისტრაციო სამსახურმა ეჭვი გამოთქვა ერთი იურიდიული პირის შემადგენლობაში მეორის არსებობის შესაძლებლობის შესახებ და განმარტებისთვის მიმართა იურისტს.

1. არის თუ არა არასამთავრობო საგანმანათლებლო დაწესებულება კომერციული პირი?

არასამთავრებო საგანმანათლებლო დაწესებულება არ არის კომერციული იურიდიული პირი, რადგან მისი მიზანი არის არა მოგება, არამედ საგანმანათლებლო წინსვლა. ყველა ორგანიზაცია, რომლის მიზანიც არასამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაა, უნდა ჩამოყალიბდეს არაკომერციული იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით არაკომერციული იურიდიული პირები მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებებს წარმოადგენენ, რომელთა ძირითადი დანიშნულება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი და სასარგებლო საქმიანობის განხორციელებაა კულტურის, მეცნიერების, სპორტის, განათლების და ჯანდაცვის სფეროებში.

2. შეიძლება თუ არა საგანმანათლებლო დაწესებულება დააარსოს

ფიზიკურმა პირმა?

საგანმანათლებლო დაწესებულება არის არაკომერციული იურიდიული პირი. არაკომერციული იურიდიული პირი კიდევ შეიძლება დააფუძნოს ერთმა პირმაც, კოდექსი მინიმალურ რაოდენობრივ ფარგლებს არ ითვალისწინებს. დამფუძნებელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი. (29-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.) მაგალითად: კახა ბენდუქიძის მიერ დაარსებული „თავისუფალი უნივერსიტეტი“.

3. შეუძლია თუ არა დაწესებულებას, თავის შემადგენლობაში შექმნას იურიდიული პირი?

დაწესებულებას თავის შემადგენლობაში არ შეუძლია სხვა იურიდიული პირის შექმნა. ნებისმიერი იურიდიული პირი ცალკე სუბიექტია, მას თავისი ქონება აქვს, თავისი სახელი აქვს და ის შეუძლებელია იყოს სხვა იურიდიული პირის შემადგენლობაში. არ შეიძლება ერთ სუბიექტში იყოს კიდევ მეორე სუბიექტი. ფაკულტეტის ქონება არის უნივერსიტეტის ქონება. უნივერსიტეტის სახელის ქვეშ მოქმედებს ფაკულტეტი, როგორც მისი სტრუქტურული ერთეული, განყოფილება და არა როგორც შიგნით არსებული იურიდიული პირი. იურიდიული პირის ცნებაში წერია, რომ მის შემადგენლობაში არ შეიძლება იყოს სხვა უფლებაუნარიანი პირი. ფაკულტეტმა უნივერსიტეტის სახელით შეიძლება დადოს ხელშეკრულება, თუ ამ უფლებას მიანიჭებს მას უნივერსიტეტი. თუ გაიხსნა სხვა ქალაქში, მას ეწოდება ფილიალი, რომელიც მისი ნაწილია და ასრულებს ყველა იმ ფუნქციას, რასაც ასრულებს იურიდიული პირი, მხოლოდ, იურიდიული პირის სახელით.

ბილეთი 2

1. ნების გამოვლენა რომელიც მიმართულია სამოქალაქო უფლებების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისკენ არის

ა) განცხადება

ბ) სარჩელი

გ) გადაწყვეტილება

დ) გარიგება

2. ცალმხრივია გარიგება, რომლის ნამდვილობისთვის საჭიროა

ა) ერთი მხარის ნების გამოვლენა და მეორე მხარის ნებართვა

ბ) ერთი მხარის ნების გამოვლენა

გ) ორივე მხარის თანხმობა

დ) ერთი მხარის ნების გამოვლენა იმ პირობით, რომ მეორე მხარე შემდგომში მოიწონებს ამას

3. გარიგებები შეიძლება იყოს

ა) მხოლოდ ცალმხრივი და ორმხრივი

ბ) მხოლოდ ორმხრივი და მრავალმხრივი

გ) ცალმხრივი, ორმხრივი და მრავალმხრივი

დ) მხოლოდ ცალმხრივი და მრავალმხრივი

4. ცალმხრივი გარიგებებია

ა) სადაზღვეო ვალდებულება

ბ) დავალების ვალდებულება

გ) შენახვის ვალდებულება

დ) სამკვიდროზე უარის თქმა

5. ცალმხრივი გარიგება ქმნის მოვალეობებს

ა) პირისთვის, ვინც გარიგებას დებს

ბ) სხვა პირებისთვის კანონით დადგენილ შემთხვევაში

გ) სხვა პირებისთვის მათ მიერ იმ პირის მოქმედების მოწონების შემთხვევაში ვინც გარიგებას დებს

დ) ყველა პირისთვის, რომელიც ა და გ პუნქტშია მითითებული

6. ორმხრივ გარიგებად შეიძლება ჩაითვალოს გარიგება, რომლის დადებისთვის აუცილებელია

ა) ერთი მხარის ნების გამოვლენა და მეორე მხარის წინასწარი თანხმობა

ბ) ორი მხარის ნების გამოვლენა

გ) ერთი მხარის ნების გამოვლენა მეორე მხარის ინტერესებისთვის

დ) მესამე მხარის ნების გამოვლენა გარიგების დადებისთვის ორ მხარეს შორის

7. ორმხრივია გარიგება, რომლის ნამდვილობისთვის აუცილებელია

ა) ერთი მხარის ნების გამოვლენა და მეორე მხარის წინასწარი თანხმობა

ბ) ორივე მხარის შეთანხმებული ნების გამოვლენა

გ) ერთი მხარის ნების გამოვლენა მეორე მხარის ინტერესებისთვის

დ) მესამე მხარის ნების გამოვლენა დანარჩენ ორ მხარეთა შორის

8. ორმხრივი გარიგებაა

ა) მინდობილობის გაცემა

ბ) ხელშეკრულების შესრულება

გ) ნასყიდობის ხელშეკრულება

დ) კონკურსის საჯაროდ გამოცხადება ომის წლების საუკეთესო სიმღერებზე

9.სასყიდლიანია გარიგება

ა) ორმხრივი გარიგება, რომელშიც ერთი მხარის უფლებას შეესაბამება მეორე მხარის მოვალეობა

ბ) ორმხრივი გარიგება, რომელშიც ერთი მხარის ნაკისრ ვალდებულებას შეესაბამება მეორე მხარის საპასუხო შესრულება

გ) ორმხრივი გარიგება , რომელშიც ერთი მხარის ნაკისრ ვალდებულებას გადაიხადოს ფული, არ შეესაბამება საპასუხო შესრულება

დ) ორმხრივი გარიგება, რომელშიც ერთი მხარის ნაკისრ ვალდებულებას შეესაბამება მეორე მხარის ფულადი ნაკისრი ტოლფასი შესრულება

10) უსასყიდლო გარიგებაა

ა) ნარდობა

ბ) კონკურსში ჯილდოს საჯაროდ დაპირება

გ) სესხი

დ) ბ და გ პუნქტებით გათვალისწინებული გარიგებები

კაზუსი

პროფესორმა კორინთელმა ფაკულტეტს აჩუქა სპეციალური ლიტერატურის ბიბლიოთეკა, რომელსაც იგი მთელი ცხოვრების მანძილზე აგროვებდა. ჩუქების შესახებ მან ხმამაღლა განაცხადა ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, ასევე ინტერვიუში რომელიც მისცა უნივერსიტეტის გაზეთს. რადგან წიგნები იყო ბევრი და მათი ერთდროულად გადატანა ვერ შეძლო, მხცოვან პროფესორს წიგნები უნივერსიტეტში ნაწილ-ნაწილ მიჰქონდა. პროფესორი ისე გარდაიცვალა რომ ყველა წიგნის გადატანა ვერ მოასწრო, მისმა ვაჟიშვილმა რომელიც პროფესორის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე იყო, ფაკულტეტის დეკანის თხოვნაზე, გადაეცა დარჩენილი წიგნებიც უარი განაცხადა. პროფესორის ვაჟმა განაცხადა, რომ ხელშეკრულება პროფესორსა და უნივერსიტეტს შორის არ იყო სათანადო წესით გაფორმებული. სასამართლოში სადაც მოცემული დავა იხილებოდა, უნივერსიტეტმა წარადგინა იმ წიგნების ბალანსზე აყვანის აქტი, რომელიც კორინთელმა

უნივერსიტეტს საჩუქრად გადასცა. როგორ უნდა გადაწყდეს წარმოქმნილი დავა და რის საფუძველზე?

პირველ რიგში უნდა გავარკვიოთ იყო, თუ არა პროფესორსა და უნივერსიტეტს შორის დადებული გარიგება ნამდვილი. იმისათვის, რომ ნამდვილი იყოს გარიგება საჭიროა ნების გამოვლენა. ნების გამოვლენა შეიძლება მოხდეს წერილობით და ზეპირად. ჩვენ შემთხვევაში ნების გამოვლენის საგანი არის წიგნების გადაცემა (ჩუქება), რომლისთვისაც წერილობითი ფორმა არ არის აუცილებელი. ჩვენ სახეზე გვაქვს ზეპირი ნების გამოვლენის ფორმა. ჩუქებისათვის მხოლოდ განცხადება და სიტყვიერი შეთანხმება არ არის საკმარისი. ჩუქება არის რეალური გარიგების სახე, ხოლო რეალური გარიგების შემთხვევაში, იმისათვის რომ გარიგება ნამდვილად ჩაითვალოს საჭიროა უშუალოდ ნივთის გადაცემა. საქართველოს კანონმდებლობის 525 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით მოძრავ ნივთზე ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ითვლება ქონების გადაცემის მომენტიდან. მესამე ნაწილის მიხედვით საჩუქრის დაპირება წარმოშობს ჩუქების ვალდებულებას მხოლოდ მაშინ, თუ იგი წერილობითი ფორმითაა დადებული. ჩვენ შემთხვევაში წერილობითი ფორმა არ არსებობს, არის მხოლოდ ზეპირი, შესაბამისად ჩუქების ვალდებულება არ წარმოიშვება. აქედან გამომდინარე, ვაჟიშვილის გადაწყვეტილება, რომ წიგნები აღარ გადასცეს უნივერსიტეტს სრულიად კანონიერია.

ბილეთი 3

1. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა

ა) სრულწლოვანების მიღწევის დღიდან

ბ) დაბადების მომენტიდან

გ) ქორწინების მომენტიდან

დ) დაბადების რეგისტრაციის მომენტიდან

2. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა წყდება

ა) სასამართლოს მიერ არაქმედუნარიანად გამოცხადებიდან

ბ) სასამართლოს მიერ მისი გასამართლების მომენტიდან ჩადენილი სამართალდარღვევისთვის

გ) მისი სიკვდილის მომენტიდან

დ) მასზე მეურვეობისა და მზრუნველობის

3. პირი, რომელიც იქორწინებს 18 წლის ასაკამდე ქმედუნარიანად ითვლება

ა) სასამართლოს გადაწყვეტილებით

ბ) სასამართლოს გადაწყვეტილებით მშობლების ან მზრუნველის თანხმობით

გ) სასამართლოს გადაწყვეტილებით არასრულწლოვანის მოთხოვნის საფუძველზე

დ) ა,ბ,გ

4. არავის არ შეიძლება ჩამოერთვას ქონება

ა) სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე

ბ) ჩამოერთმევა მხოლოდ მისი თანხმობით

გ) სახელმწიფო მმართველობის ორგანოს გადაწყვეტილებით

დ) თვითმმართველობის ორგანოს გადაწყვეტილებით

5. უფლებაუნარიანობა არის

ა) პირის უფლებების კრებული

ბ) ფიზიკური პირის ფიზიკური უნარი განახორციელოს უფლებები და მოვალეობები

გ) იურიდიული უნარი იყოს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე

დ) უნარი საკუთარი ნებით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები

6. 7-18 წლამდე ასაკის პირი

ა) ქმედუუნაროა

ბ) ნაწილობრივ ქმედუნარიანია

გ) ნაწილობრივ ქმედუუნაროა

დ) შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა

7. პირი შეიძლება გარდაცვლილად გამოცხადდეს თუ 5 წლის განმავლობაში მისი ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია არ გააჩნიათ

ა) მშობლებს

ბ) მშობლებს და ოჯახს

გ) ცნობები არ მოიპოვება საცხოვრებელ ადგილას

8. უგზო-უკვლოდ დაკარგულად პირის აღიარება უნდა მოხდეს , როცა :

ა)პირის ადგილსამყოფელი უცნობია

ბ)პირი თავის საცხოვრებელ ადგილას არ ყოფილა 2 წლის მანძილზე

გ)იგი დაიკარგა ისეთ გარემოებებში, რომლებიც მას სიკვდილს უქადდა

დ) ერთად აღებული ა) და ბ) პუნქტები

9. ფიზიკური პირი ქმედუნარიანობას იძენს :

ა) დაბადებისთანავე

ბ) ასაკის და ჯანმრთელობის გათვალისწინებით

გ) ასაკის, ჯანმრთელობის, პოლიტიკური მდგომარეობისა და აღმსარებლობის გათვალისწინებით

დ)ასაკის, ჯანმრთელობის, მოქალაქეობის, აღმსარებლობის და სქესობრივი ნიშნის გათვალისწინებით

10. 7 წლის ასაკამდე ფიზიკური პირი :

ა) ქმედუნარიანია

ბ) შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა

გ) ქმედუუნაროა

დ) ქმედუუნაროა, მაგრამ უფლებამოსილია მიიღოს მის სასარგებლოდ განხორციელებული შეპირებანი

კაზუსი

ამერიკელმა ბიზნესმენმა ვუდმა კონსულტაციისთვის მიმართა ადვოკატს. იგი ითხოვს რჩევას საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის ყველაზე ოპტიმალური ფორმის შესახებ. ორგანიზაციას, რომლის შექმნაც სურდა ვუდს საქართველოში, უნდა შეძლებოდა :

1) ყოველგვარი სამეწარმეო საქმიანობა და ქველმოქმედება;

2) შესაძლებელი უნდა ყოფილიყო ორგანიზაციული წარმონაქმნის ხელმძღვანელობაზე სრული კონტროლი.

3) შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო ინფორმაციის საბუღალტრო ანგარიში, ბალანსი საიდუმლოდ.

4) საწარმოს ვალდებულებებზე პასუხისმგებლობის ფარგლების შეზღუდვა საწარმოს კაპიტალში შეტანილი თანხით. (საკუთარი იურიდიული პირის კაპიტალით აგებს პასუხს.)

კითხვები:

1. როგორ განისაზღვრება ტერმინი „იურიდიული პირი“ საქართველოს კანონმდებლობაში

მოცემული ტერმინის განმარტებას იძლევა სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც: იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გმაოვიდეს მოსარჩლედ და მოპასუხედ.

2. სავალდებულოა თუ არა, იურიდიული პირი დარეგისტრირდეს

იურიდიული პირის რეგისტრაცია სავალდებულოა. სამოქალაქო სამართალი კერძო სამართლის იურიდიული პირების წარმოშობას უკავშირებს რეგისტრაციის ფაქტს. ამიტომ, მათ რეგისტრაციას კონსტიტუციური მნიშვნელობა აქვს. იურიდიული პირი, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, წარმოიშობა მხოლოდ სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან. (28-ე მუხლის მე-3 ნაწილი.) გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ ძალაში შედის მხარისათვის ოფიციალურად გაცნობისთანავე ან გამოქვეყნებისთანავე. გამოქვეყნებად ითვლება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე განთავსება.

3. შეიძლება თუ არა მოცემულ შემთხვევაში იურიდიული პირის დამფუძნებელი იყოს უცხოელი

იურიდიული პირის დამფუძნებელი შეიძლება იყოს უცხოელი. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით ეროვნება, წარმომავლობა, პოლიტიკური შეხედულებები, მრწამსი არ ახდენს გავლენას იურიდიული პირის დაფუძნების უფლებაზე. შესაბამისად უცხოელი შეიძლება იყოს საქართველოში იურიდიული პირის დამფუძნებელი ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

4. საქართველოს სახელმწიფო შეიძლება იყოს თუ არა დამფუძვნებელი

საქართველოს სახელმწიფო შეიძლება იყოს იურიდიული პირის დამფუძნებელი. სახელმწიფოს შეუძლია შექმნას სხვა მრავალი იურიდიული პირი იმის მიხედვით, თუ რა ამოცანების განხორციელება მოუწევთ მათ. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. მათ უფლებამოსილებებს ამ დროს ახორციელებენ მათი ორგანოები ისე, რომ ისინი არ არიან იურიდიული პირები. (24-ე მუხლის მეოთხე ნაწილი.)

5. სამართლის რომელი სფეროთი უნდა იხელმძღვანელოს მოცემულ შემთხვევაში ბიზნესის წარმოებისას

რადგანაც ვუდი აარსებს სამეწარმეო იურიდიულ პირს, რომლის მიზანია სამეწარმეო (კომერციული) საქმიანობა, უნდა იმოქმედოს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. (24-ე მუხლის მეხუთე ნაწილი.) ჩვენთვის კარგად ცნობილია, რომ სამეწარმეო იურიდიული პირი კერძო სამართლის სფეროს განეკუთვნება, შესაბამისად ვუდმა

უნდა იხელმძღვანელოს კერძო სამართლის სფეროთი. კერძო სამართლის იურიდიული პირების სამართლებრივი მდგომარეობა, დაარსების წესი განისაზღვრება სამოქალაქო კოდექსის 24-ედან 49-მდე მუხლებით.

6. კერძო სამართლის იურიდიული პირის რომელი ფორმაა ხელსაყრელი ბიზნესმენისთვის მოცემულ შემთხვევაში . უნდა დავასაბუთოთ, რომელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა ოპტიმალური და რატომ.

ბიზნესმენისთვის მოცემულ შემთხვევაში ხელსაყრელი იქნება შემდეგი ფორმა-შპს, რადგანაც ვუდს არ სურს საკუთარი ქონებით აგოს პასუხი. მას სურს განცალკევებული იურიდიული პირის ქონება არსებობდეს და იურიდიულმა პირმა საკუთარი ქონებით აგოს პასუხს საჭიროების შემთხვევაში და ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. შპს სწორედ ასეთი ტიპის იურიდიული პირია, რომლის ლეგალური დეფინიცია მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 44-ე მუხლში. შპს არის საზოგადოება, რომელიც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას და კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. აქ გათვალისწინებულია ბიზნესმენის პირველი და მეოთხე მოთხოვნა. შპს-ს აგრეთვე გააჩნია მმართველობის დამოუკიდებელი ორგანოები-პარტნიორთა კრება, დირექტორატი და საჭიროების შემთხვევაში-სამეთვალყურეო საბჭო. შესაბამისად ბიზნესმენის მეორე მოთხოვნასაც ითვალისწინებს იურიდიული პირის ეს ფორმა. აგრეთვე შპს შეუძლია ერთ პირსაც რომ დაარსოს, როგორც ეს ბიზნესმენი ვუდის შემთხვევაშია. ხოლო რაც შეეხება სააქციო საზოგადოებას, რომლის შემთხვევაშიც იურიდიული პირი შპს-ს მსგავსად საკუთარი ქონებით აგებს პასუხს კრედიტორების წინაშე, ის არახელსაყრელია ბიზნესმენისთვის, რადგან სააქციო საზოგადოება აქციებშია გამოსახული და მსგავსი მოთხოვნა ბიზნესმენის მხრიდან არ ყოფილა. მის ლეგალურ დეფინიციას გვაწვდის სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილი. სს უფრო რთულ

ფორმაა შპს-სთან შედარებით. საფინანსო კონტროლის რთული მექანიზმი მოქმედებს მის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან რაც არ ახასიათებს შპს-ს, შესაბამისად ვუდისთვის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა შპს-ს ფორმით სამეწარმეო იურიდიული პირის ფორმირება.

By Achi Javakhishvili

Good luck!